

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო

მეორე სეძცია

**დაიანანი თურქეთის წინააღმდეგ**

(სარჩელი № 7377/03)

განაჩენი

სტრასბურგი

2009 წლის 13 ოქტომბერი

**საბოლოო**

13/01/2010

განაჩენი შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ სარედაქციო შესწორებას

## საქმეზე დაიანანი თურქეთის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლომ (მეორე სექცია), შეიკრიბა ერთ პალატად შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით :

ფრანსუაზ ტულკენი(თავმჯდომარე),

ირენეუ კაბრალ ბარეტო,

ვლადიმერო ზაგრეპელსკი,

დრაგოლიუბ პოპოვიჩი,

ნონა წოწორია,

ისილ კარაკასი,

კრისტინა პარდალოსი

და ფრანსუაზ ელენს-პასოსი სექციის სასმართლო მდივნის მოადგილე

2009 წლის 22 ოქტომბერს, სათათბირო პალატამ განიხილა და ამ დღისათვის დაადგინა შემდეგი :

### პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო თურქეთის წინააღმდეგ მიმართული სარჩელი №. 7377/03. ამ ქვეყნის მოქალაქე, ბატონმა სეიფეტინ დაიანანმა (« მოსარჩელე »), სასამართლოს მიმართა 2003 წლის 8 იანვარს ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციის (« კონვენცია ») 34-ე მუხლის საფუძველზე.
2. მოსარჩელეს წარმოადგენს ადვოკატი მ. ოზბეკლი, რომელიც საადვოკატო მოღვაწეობას ეწევა დიიარბაკირში. თურქეთის მთავრობას (« მთავრობა ») წარმოადგენს თავისი მოხელე.
3. 2008 წლის 5 მარტს, მეორე სექციის თავმჯდომარემ გადაწყვიტა სარჩელის თაობაზე მთავრობისათვის ეცნობებინა. კონვენციის 29-ე მუხლის §3 თანახმად, ასევე გადაწყდა რომ პალატა ამავედროულად გააკეთებდა განცხადებას სარჩელის წარმოებაში მიღებასა და არსებით მხარეზე.

### შაჰტობრივი მასალა

1. საქმის გარემოებათა
4. მოსარჩელე დაიბადა 1975 წელს.
5. 2001 წლის 30 იანვარს, უკანონოდ შეიარაღებული ორგანიზაციის »ჰეზბოლას«-ის (« ღმერთის პარტია ») წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარებისას მოსარჩელე დაკავებულ და მოთავსებულ იქნა წინასწარი პატიმრობის ქვეშ.

6. მოსარჩელემ ხელი მოაწერა « დაკავებულ პირთა უფლებების ახსნა-განმარტებით ფორმულარს » და ემცნო მოსალოდნელი სასჯელის თაობაზე. მას ასევე ეუწვა თავისი უფლებები დუმილის გამოყენებასა და ადვოკატით სარგებლობაზე დაკავების პერიოდში. პოლიციელებმა მას კითხვები დაუსვეს. მოსარჩელემ გამოიყენა დუმილის უფლება.

7. მოსარჩელეს საცხოვრებელში ჩატარდა ჩხრეკა. პოლიციელებმა ამოიღეს ვიდეოკასეტა. კასეტის ჩანაწერის ოქმი შემდეგი შინაარსისაა: « კასეტის დიდი ნაწილის მოსმენა შეუძლებელია. არის ქურთულ ენაზე წარმოთქმული გაუგებარი სიტყვები. კასეტაში ასევე არის სიმღერები, რომლებშიც შეგვიძლია გავიგოთ სიტყვა « შარიათი », მაგრამ ფრაზები აქაც გაუგებარია ».

8. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მოსარჩელე იყენებდა დუმილის უფლებას.

9. 2001 წლის 3 თებერვალს, მოსარჩელე მოთავსებულ იქნა დროებით პატიმრობის ქვეშ ქ. სიირტის პოლიციის სასამართლოს ნაფიცი მოსამართლის მიერ.

10. 2001 წლის 3 თებერვლის საბრალდებო აქტის საფუძველზე, დიიარბაკირის უშიშროების სახელმწიფო სასამართლოში, რესპუბლიკის პროკურორმა მას (ისევე როგორც სამ სხვა პიროვნებას) ბრალდების სახით წარუდგინა ჰეზბოლაჰის პარტიის წევრობა და მისი გასამართლება მოითხოვა სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის §2 საფუძველზე.

11. საქმის პირველი მოსმენა შედგა 2001 წლის 10 აპრილს, დიიარბაკირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოში (« სახელმწიფო უშიშროების სასამართლო »). მოსარჩელემ, რომელსაც დახმარებას ადვოკატი უწევდა, უარყო მის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება. მის საცხოვრებელში ამოღებულ კასეტას რაც შეეხება, განაცხადა რომ იგი ეკუთვნოდა დედამისს და არც იცოდა მისი შინაარსი.

12. 2001 წლის 29 მაისის პროცესზე, მოსამართლეებმა წაიკითხეს სხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში (იმავე ორგანიზაციასთან დაკავშირებით) ხუთი ბრალდებული პირის ჩვენებები, რომლის თანახმადაც მოსარჩელე სახელდებოდა ორგანიზაციის ერთერთ პასუხისმგებელ წევრად. მოსამართლეებმა ბრალდებულებს ასევე წარუდგინეს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები. მოსარჩელეს მხარემ სიტყვა აიღო და განაცხადა რომ დანაშაულის დამამტკიცებელი ელემენტები თავმოყრილი არ იყო. მოსარჩელეს მხარემ ასევე განაცხადა რომ მოსარჩელე გასამართლებული უნდა იყოს არაკანონიერი ორგანიზაციისათვის დახმარების გაწევის გამო სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე და არა ამ ორგანიზაციის წევრობისათვის. მას მოწმეების მოსმენა არ მოუთხოვია.

13. 2001 წლის 17 ივლისის, 11 სექტემბრის და 6 ნოემბრის სასამართლო სხდომებზე, მოსარჩელეს ადვოკატმა გაიმეორა ადრე გამოთქმული მოსაზრებები და მოითხოვა რომ მის კლიენტს ესარგებლა ამნისტიის შესახებ №. 4616 კანონის დებულებებით.

14. 2011 წლის 4 დეკემბერს, საქმის მოსმენისას მოსარჩელემ წარმოთქვა დაცვის სიტყვა. მან განაცხადა რომ არანაირი კავშირი არ ჰქონია დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან და მოითხოვა გათავისუფლება. სიტყვით ასევე გამოვიდა

მოსარჩელეს ადვოკატი და კიდევ ერთხელ ისაუბრა დაცვის დეტალებზე, რომლებიც პროცესზე წარადგინა თავის კლიენტზე სამართლებრივი დევნის შეწყვეტის მიზნით, №. 4616 კანონის საფუძველზე.

15. ზემოხსენებული პროცესის შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ მოსარჩელეს მიუსაჯა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის §2 თანახმად.

16. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმეში დართული ოქმები და მტკიცებულებანი. კერძოდ კი, მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მოსარჩელეს ასახელებდნენ ორგანიზაციის ერთერთ პასუხისმგებელ პირად. იგი ასევე დაეყრდნო დოკუმენტს, რომელშიც მითითებული იყო მოსარჩელეს ფუნქცია ორგანიზაციაში. სასამართლომ დადგენილად ჩათვალა მოსარჩელეს დანაშაულებრივი ორგანიზაციის აქტიური წევრობის ფაქტი.

17. მოსარჩელემ, თავისი ადვოკატის მეშვეობით, საკასაციო წესით გაასაჩივრა 2001 წლის 4 დეკემბრის განაჩენი.

18. 2002 წლის 18 მარტს, საკასაციო სასამართლოში, გენერალურმა პროკურორმა წარმოადგინა თავისი დასკვნა განაჩენის გასაჩივრების არსებით მხარეზე, რომლის შინაარსი არ შეუტყობინებიათ არც მოსარჩელესათვის და არც მისი ადვოკატისათვის.

19. 2002 წლის 27 მაისის პროცესზე, საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა მოსარჩელეს მიერ გასაჩივრებული განაჩენის ყველა პუნქტი. გადაწყვეტილება წარმოთქმულ იქნა 2002 წლის 29 მაისს, მოსარჩელეს და მისი წარმომადგენლის დაუსწრებლად.

20. 2002 წლის 19 ავისტოს, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტი დაერთო საქმეს, რომელიც დაიდო დიიარბაკირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს კანცელარიაში და ამგვარად მხარეებს შეეძლოთ მისი ნახვა.

## II შიდა სამართალი და სასამართლო პრაქტიკა

21. თურქეთის სამართლის ძირითადი დებულებანი ასევე ფიგურირებს გადაწყვეტილებებში *Salduz c. Turquie* ([GC]), №.3639/02, §§27-31, 2008 წლის 27 ნოემბერი) და *Göç c. Turquie* ([GC]), №. 36590/97, §34, 2002 წლის 11 ივლისი).

### საქმის სამართლებრივი მხარე

22. მოსარჩელეს მოჰყავს კონვენციის 6-ე მუხლის §1 და §3 და აცხადებს რომ წინასწარი პატიმრობის ქვეშ ყოფნისას, არ უსარგებლია ადვოკატის დახმარებით, ასევე მისთვის არ გადაუციათ საკასაციო სასამართლოში გენერალური პროკურორის მიერ წარმოდგენილი დასკვნა.

23. მთავრობა ექვსთვიანი ვადის დარღვევას გამართლებისას ეყრდნობა შიდა საბოლოო გადაწყვეტილების თარიღს, კერძოდ კი 2002 წლის 29 მაისს და ასევე სარჩელის შეტანის თარიღს, 2003 წლის 8 იანვარს. მეტიც, მისი აზრით, მოსარჩელეს არ ამოუწურავს, როგორც ამას კონვენციის 35-ე მუხლის §1 ითვალისწინებს, გასაჩივრების შიდა ინსტანციები, 6-ე მუხლის §1 და §3 c) საფუძველზე, სარჩელის არ აღძვრის გამო ეროვნული მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე.

24 რაც შეეხება წესს ექვსი თვის თაობაზე, ევროსასამართლო შეახსენებს საკუთარ სამართალწარმოების პრაქტიკას, რის მიხედვითაც მოსარჩელეს ოფიციალურად უფლება აქვს გადაეცეს საბოლოო შიდა გადაწყვეტილების ასლი ; კონვენციის 35-ე მუხლის §1 თანახმად, ექვსთვიანი ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების ასლის გადაცემის დღიდან. (Worm c. Autriche, 29/08/1997, §33, 1997-V წლის განჩენებისა და გადაწყვეტილებების კრებული). სამაგიეროდ, როდესაც შიდა სამართალი გადაცემას არ ითვალისწინებს, ევროსასამართლო თვლის რომ მხედველობაში მისაღებია გადაწყვეტილების განკარგულებაში გადაცემის თარიღი, რა დღიდანაც მხარეებს შეუძლიათ რეალურად გაეცნენ მის შინაარსს (იხ. Mutatis mutandis, Papachelas c. Grèce [GC], n. 31423/96, § 30, CEDH 1999-II, და Seher Karataş c. Turquie (déc.), n 33179/96, 9/07/2002).

25. მოცემულ შემთხვევაში, ევროსასამართლო შენიშნავს, რომ ფაქტების მიმდინარეობისას, სისხლის სამართლის საქმეებში, საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები მხარეებს არ გადაეცემათ. ისინი ინფორმირებულნი იყვნენ, მხოლოდ და მხოლოდ გადაწყვეტილების პირველი ინსტანციის სასამართლოს კანცელარიაში დადების და/ან გამოტანილი სასჯელის აღსრულებაში მოსაყვანად აქტის გაგზავნის შემდეგ.

26. მოსარჩელეს შემთხვევაში, 2002 წლის 29 მაისის განჩენი, რომელიც საკასაციო სასამართლომ გამოიტანა და რომელიც წარმოადგენს შიდა მართლმსაჯულების საბოლოო გადაწყვეტილებას, არ გადაეცა დაინტერესებულ პირს ან მის დამცველს. 2002 წლის 19 აგვისტოს, განჩენის ტექსტი დაერთო საქმეს, რომელიც დადებული იყო დიიარბაკირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს კანცელარიაში, სადაც მხარეებს შეეძლოთ მისი გაცნობა. ამის შემდეგ, ექვს თვიანი ვადის ათვლა დაიწყო 2002 წლის 19 აგვისტოს. სარჩელი შეტანილი იქნა ამ თარიღის გასვლიდან ექვს თვეზე ნაკლებ ვადაში ; მოსაზრება მთავრობის მიერ დაშვებულ გამონაკლისზე, მოცემულ შემთხვევაში, არ იქნა გაზიარებული.

27. შიდა გასაჩივრების საშუალებების არ ამოწურვას რაც შეეხება, ევროსასამართლო მიიჩნევს რომ მოსარჩელეს უფლება ესარგებლა ადვოკატის დახარებით, შეიზღუდა მისი წინასწარი პატიმრობის ქვეშ ყოფნისას, № 3842 კანონის 31-ე მუხლის თანახმად იმ მოტივით რომ მას ბრალად ედებოდა დანაშაული რომლის განხილვის უფლებამოსილება გააჩნდათ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოებს. ამას გარდა, ევროსასამართლო აღნიშნავს რომ გენერალური პროკურორის დასკვნის არ გადაცემის არსებული პრაქტიკა ასევე ექვემდებარებოდა მოქმედ კანონმდებლობას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის თქმა რომ მთავრობამ ეს გამონაკლისის სახით გააკეთა.

28. ევროსასამართლო ადგენს რომ მოსარჩელეს საბრალდებო პუნქტები, რომლებიც ემყარება კონვენციის 6 მუხლის §1 და §3 c) არ არის საფუძველს მოკლებული კონვენციის 35-ე მუხლის §3 თვალსაზრისით. კონვენციის ამ მუხლების პუნქტები არაფრით არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს მოცემული საქმის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით. მაშასადამე, მათი გაზიარება და მიღება სავსებით მიზანშეწონილია.

29 საქმის არსებით მხარეს რაც შეეხება, მთავრობა მიუთითებს რომ მოსარჩელემ გამოიყენა დუმილის უფლება დაკავების დროს, ისე რომ ადვოკატის იქ არყოფნას, მისი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არანაირი სერიოზული ინციდენტი არ გამოუწვევია. რაც შეეხება ბრალდების პუნქტს მოსარჩელესათვის გენერალური პროკურორის დასკვნის არ გადაცემის თაობაზე საკასაციო სასამართლოში, მთავრობა ეყრდნობა თავის შენიშვნებს ზემოხსენებულ საქმეში *Göç c. Turquie*, § 54.

30. რაც შეეხება ადვოკატის არყოფნის ფაქტს დაკავების მომენტში, ევროსასამართლო შეახსენებს რომ ყველა ბრალდებულის უფლებაა ეფექტურად იყოს დაცული ადვოკატის მიერ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ინიშნება სახაზინო წესით. ეს უფლება ფიგურირებს სამართლიანი პროცესის ფუნდამენტალურ ელემენტებს შორის (*Salduz*, ზემოხსენებული §51, *Poitrimol c. France*, 23/11/1993, §34, სერია A N. 277-A, და *Dembukov c. Bulgarie*, N. 68020/01, §50, 28/02/2008).

31. ევროსასამართლო თვლის რომ სისხლის სამართლის პროცედურის სამართლიანობა, ზოგადად, კონვენციის 6-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმობს შემდეგს : ეჭვმიტანილს საშუალება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით მისი დაკავების ან წინასწარ პატიმრობაში მოთავსების მომენტიდან.

32. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების თანახმად, ევროსასამართლო, თავისი სამართალწარმოების ჩარჩოებში, აღიარებს რომ ბრალდებულმა დაკავების მომენტისთანავე უნდა ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით და ეს იმ დაკითხვების მიუხედავად რომლებიც მას უტარდება. (საერთაშორისო სამართლის ტექსტებს რაც შეეხება ამ მიმართულებით, იხ. ზემოხსენებული *Salduz*-ის საქმე, §§37-44). რეალურად, პროცედურის სამართლიანობა მოითხოვს რომ ბრალდებულს შეეძლოს ისარგებლოს მის დაცვასთან და კონსულტაციებთან დაკავშირებული დახმარებების ფართო სპექტრით. ამ თვალსაზრისით, საქმის განხილვა, დაცვის ორგანიზება, ბრალდებულისათვის სასარგებლო მტკიცებულებების მოძიება, დაკითხვების მომზადება, დეპრესიაში მყოფი ბრალდებულის მხარდაჭერა და პატიმრობის პირობების კონტროლი დაცვის ძირითადი ელემენტებია, რომლის აღსრულებაც ადვოკატს თავისუფლად უნდა შეეძლოს.

33. მოცემულ შემთხვევაში, არავინ უარყოფს რომ მოსარჩელეს არ უსარგებლია ადვოკატის დახმარებით, იმდროინდელი მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე (ზემოხსენებული *Salduzi*-ის საქმე, §§ 27, 28). თავისთავად, მოქმედი საკანონმდებლო დებულებების საფუძველზე არსებული ასეთი სახის სისტემატური შეზღუდვები საკმარისია იმისათვის, რათა დავასკვნათ კონვენციის 6-ე მუხლის მოთხოვნილებების შეუსრულებლობა. მიუხედავად იმისა რომ მოსარჩელემ გამოიყენა დუმილის უფლება დაკავების დროს.

34. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკენის რომ დაირღვა კონვენციის 6-ე მუხლის §3 c) და მასთან ერთად 6-ე მუხლის §1.
35. რაც შეეხება მოსარჩელესათვის საკასაციო სასამართლოში გენერალური პროკურორის მიერ გაკეთებული დასკვნის არ გადაცემას, ევროსასამართლო შეახსენებს რომ მოსარჩელეს მსგავსი საქმე უკვე განიხილა და დადგინა რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6-ე მუხლის §1 დარღვევას იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ გადაცემული არ იქნა საკასაციო სასამართლოში გენერალური პროკურორის მიერ წარმოდგენილი დასკვნა. რის გამოც, განსასჯელს არ მიეცა წერილობით პასუხის გაცემის საშუალება (Göç c. Turquie [GC], N. 36590/97, §55, CEDH 2002-V). წინამდებარე საქმისა და ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების განხილვის შემდეგ, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მთავრობას არანაირი სარწმუნო ფაქტი ან არგუმენტი არ მოუწოდებია იმისათვის რომ ევროსასამართლოს განსხვავებული დასკვნა გამოეტანა.
36. ყოველივე ამის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს რომ მოსარჩელეს უფლება სამართლიან პროცესზე დარღვეულ იქნა. მაშასადამე, დაირღვა კონვენციის 6-ე მუხლი, §1.
37. მოსარჩელე ასევე აცხადებს რომ ინფორმირებული არ ყოფილა დაკავების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაზე. იგი ასევე აღნიშნავს რომ დაცვის მოსამზადებლად, არ უსარგებლია (6-ე მუხლი, §3-b) არანაირი აუცილებელი მექანიზმით და საშუალება არ ჰქონდა შეკითხვები დაესვა ბრალდების მოწმეებისათვის (6-ე მუხლი, §3-d). ამის გარდა ის ჩივის იმის თაობაზე, რომ ბრალეულობის მტკიცებულებად გამოყენებულ იქნა პოლიციის მიერ მის საცხოვრებელში ამოღებული კასეტის ჩანაწერის ტრანსკრიპცია ისე რომ არანაირი დამოუკიდებელი ექსპერტიზა არ ჩატარებულა ეგრეთწოდებული მტკიცებულების ნამდვილობაზე.
38. ევროსასამართლომ განიხილა ბრალდების პუნქტები იმ ფორმით რა ფორმითაც წარმოდგენილი იყო მოსარჩელეს მიერ (§37) და მხედველობაში იქნა მიღებული მის განკარგულებაში არსებული ელემენტების ერთობლიობა. ევროსასამართლოს არ გამოუვლენია კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ბრალდების ეს პუნქტები აშკარად უსაფუძვლოა და უკუგდებული იქნება კონვენციის 35-ე მუხლის §3 და §4 საფუძველზე.
39. რჩება კონვენციის 41-მუხლის გამოყენების საკითხი. მოსარჩელე მოითხოვს 20000 ევროს მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის გამო.
40. მთავრობა აპროტესტებს ამ მოთხოვნას.
41. ევროსასამართლო ვერ ხედავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს გაპროტესტებულ დარღვევებსა და მატერიალურ ზიანს შორის და არ ეთანხმება ამ მოთხოვნას.

42. სამაგიეროდ, სამართლიანობის პრინციპს რაც შეეხება, სასამართლო 1000 ევროს გადარიცხვას მოითხოვს მოსარჩელესათვის მიყენებული მორალური ზიანის გამო.
43. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავი უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი.

ყოველივე ზემოხსენებული საფუძველზე, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს რომ სარჩელი შეიძლება მიღებულ იქნას წარმოებაში იმ პუნქტებთან მიმართებაში რომლებიც ეხება ადვოკატის არ ყოფნას წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას და საკასაციო სასამართლოში გენერალური პროკურორის დასკვნის არ გადაცემას ; ამავე დროს წარმოებაში არ მიიღება სხვა პუნქტები ;
2. აცხადებს, რომ მთლიანობაში დაირღვა კონვენციის 6-მუხლის §3 c) 6-ე მუხლის §1 იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ მოსარჩელეს არ უსარგებლია ადვოკატის მომსახურებით წინასწარი პატიმრობის დროს;
3. ასევე აცხადებს, რომ დაირღვა კონვენციის 6-ე მუხლის §1, ვინაიდან მოსარჩელეს საკასაციო სასამართლოში არ გადაეცა გენერალური პროკურორის დასკვნა ;
4. აცხადებს,
  - ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ მოსარჩელეს უნდა გადაურიცხოს 1000 ევრო საბოლოო განაჩენის გამოტანის დღიდან სამი თვის ვადაში კონვენციის 44-ე მუხლის §2 თანახმად, მიყენებული მორალური ზიანისათვის. ეს თანხა, რომელიც კონვერტირებული იქნება თურქულ ლირაზე თანხის გადარიცხვის დღეს არსებული კურსით შეიძლება დაქვემდებაროს დაბეგვრას.
  - ბ) ზემოხსენებული ვადის გასვლისთანავე და საბოლოო ანგარიშსწორებამდე, თანხას დაემატება ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლი განაკვეთით, რასაც დაემატება სამი პროცენტული პუნქტი.
5. უკუაგდებს სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნას დანარჩენ პუნქტებთან მიმართებაში.

გადაწყვეტილება შედგენილია ფრანგულ ენაზე, წერილობითი კომუნიკე შედგენილია 2009 წლის 13 ოქტომბერს, რეგლამენტის 77-ე მუხლის §2 და §3 მიხედვით.

ფრანსუაზ ელენს-პასო

ფრანსუაზ ტულკენი

სასამართლო მდივნის მოადგილე

თავმჯდომარე

